ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №626120

ნომერი: AR1114501

თარიღი : 12.03.2013

გაცემის თარიღი : 05.04.2013

გაცნობის თარიღი : 09.07.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო "დიდუბის" მიმდებარედ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტრისტან დვალი პ/ნ 01006005412
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 69

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: #01.13.03.051.007) საზღვრების კორექტირება, თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზური ნახაზის მიხედვით, მისი კონფიგურაციიდან გამომდინარე არქიტექტურის სამსახურს არ მიაჩნია შესაძლებლად.

გარდა ამისა გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიისათვის შემუშავებულია ე.წ. „ჩარჩო გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს, ხოლო ამ ჩარჩო გეგმების ფარგლებში საჭიროა დამუშავდეს კონკრეტული ტერიტორიებისთვის დეტალური განაშენიანების რეგულირების გეგმები.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური, ამ ეტაპზე, მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge